ფრე კუიბიშევში

გუშინ კუიბიშევში, “დინამოს” სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში “ა” კლასის გუნდებისათვის. ადგილობრივმა “კრილია სოვეტოვმა” მიიღო თბილისის “დინამო”.

პირველი 15 წუთი აღინიშნა მასპინძელთა უპირატესობით, რის შემდეგ თბილისელებმა თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან. მასპინძელთა კარი აშკარა გოლისაგან ორჯერ იხსნა მეკარე კოროტკიხმა, ხოლო ერთხელ კალოევის უძლიერესი დარტყმა ძელს მოხვდა.

მატჩი დამთავრდა ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა – 0:0.

თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, ხელაძე, პეტრიაშვილი მეტრეველი, კალოევი, იამანიძე (მელაშვილი), დათუნაშვილი.

“ლელო”, 8 სექტემბერი, 1963 წ.